

ცვლილების დროა!

გიორგი თარგამაძე –
ქრისტიან დემოკრატების

საარჩევნო პროგრამა

2008

ცვლილების დროა კონსტიტუციაში

მართლმადიდებლობა უნდა გამოცხადდეს საქართველოს ოფიციალურ რელიგიად!

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, დღეისათვის ბევრ სახელმწიფო ინსტიტუტზე უფრო მტკიცედ დგას ქართული სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულება არ გამოირჩევა საზოგადოებაში ეკლესიის როლის განმტკიცებაზე დიდი ზრუნვით, ეკლესია მაინც რჩება ურყევ ზნეობრივ ავტორიტეტად იმ საზოგადოებაში, რომლის წევრთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. ერთი მხრივ ეკლესიის როლი და მეორე მხრივ სახელმწიფო ინსტიტუტების დამოკიდებულება ეკლესიისადმი, საჭიროებს სერიოზულ, სისტემურ გადასინჯვას, რომლის პირველდაწყებითი – მყარი საფუძვლები უნდა შეიქმნას სწორედ სახელმწიფოს ძირითადი კანონით – კონსტიტუციით, თანაც იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნეს სხვა რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ტრადიციულად აღიარებული ქრისტიანული ფასეულობების განმტკიცება უნდა იყოს მხარდაჭერილი პოლიტიკური ინსტიტუტების მხრიდან. ეს უნდა გამოიხატოს როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების მხარდაჭერასა და ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებაში. სწორედ ამ მიზნის რეალიზაციის წინაპირობა იქნება შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილების განხორციელება.

კონსტიტუციურად უნდა დაფიქსირდეს სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ, რომელთანაც საუკუნეების მანძილზე ასოცირდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა; ჩვენი თაობის უზენაესი ვალია ამ ისტორიული კანონზომიერების ურღვევობის შენარჩუნება. კონსტიტუციურმა ცვლილებებმა და შეცვლილი ნორმების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფამ უნდა მოახდინოს ქრისტიანული ფასეულობების დაცვა, რასაც დაეფუძნება ქართული საზოგადოების სულიერ-კულტურული ცხოვრების წესი.

სახელმწიფო და ეკლესია განასახიერებს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სუბიექტს, რაც განაპირობებს მათ დაცულობას თავიანთი საქმიანობის ურთიერთხელყოფისაგან. კონსტიტუციური ცვლილებებით გათვალისწინებული იქნება ყველა დონის საჯარო სასწავლო დაწესებულებაში მართლმადიდებლური რელიგიის საფუძვლების სწავლება. კონსტიტუციური ცვლილება ითვალისწინებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. მართლმადიდებლობის საქართველოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება არ ხელყოფს სხვა რელიგიათა აღსარების თავისუფლებას.

კონსტიტუციური ცვლილება არ ეწინააღმდეგება არც ევროკავშირის ღირებულებებს, არც საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ რომელიმე ვალდებულებას, არც საქართველოს ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

ცვლილების დროა ეკონომიკურ პოლიტიკაში

მტკნარი წყლის, როგორც რესურსის გაყიდვა დაუშვებელია, რადგან ის ხალხის საკუთრებაა. წყალი უნდა მოხმარდეს მისი ერთადერთი მეპატრონის – ქართველი ხალხის კეთილდღეობას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას მხოლოდ და მხოლოდ მისი მზა პროდუქციის სახით რეალიზაციის გზით!

“საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან” ... “საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლოატაცია სახელმწიფო სექტორში აუცილებლად უნდა დარჩეს” - წერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის ეპისტოლეებში.

საქართველოს ბუნებრივი რესურსებიდან განსაკუთრებით მტკნარი სასმელი წყალი წარმოადგენს ჩვენს ყველაზე დიდ ეროვნულ სიმდიდრეს, რომლის გაყიდვაც შეტანილია ხელისუფლების უახლოეს დღის წესრიგში. ამ უზარმაზარი სიმდიდრის ხალხის საკუთრებაში დაბრუნება და მისი სახელმწიფოსა და ერის კეთილდღეობისათვის გამოყენება ჩვენი მთავარი ამოცანაა. წყლის, როგორც ეროვნული სიმდიდრის თემა წარმოადგენს ჩვენი ეკონომიკური პროგრამის ძირითად ქვაკუთხედს.

სწორედ მტკნარი სასმელი წყალი წარმოადგენს ჩვენს ყველაზე დიდ ეროვნულ სიმდიდრეს, რომლის ხალხისათვის დაბრუნება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მთავარი ამოცანაა. წყლის, როგორც ეროვნული სიმდიდრის თემა წარმოადგენს ჩვენი ეკონომიკური პროგრამის ძირითად ქვაკუთხედს. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობად მიიხნევს საქართველოს სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების კონცეფციის განხორციელებას. აღნიშნული კონცეფცია ძირითადად ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

- მსოფლიოში შექმნილია მტკნარი წყლის მწვავე დეფიციტი. გაეროს მონაცემებით, დედამიწაზე ყოველწლიურად **ასეულობით ათასი ადამიანი იღუპება** უწყლობითა და უხარისხო წყლით გამოწვეული დაავადებებით;
- მსოფლიო ბაზარზე სასმელი წყლის ფასი უკვე თითქმის გაუტოლდა ბენზინის ფასს, ხოლო ყველა არსებული მონაცემით, **2010 წლისათვის ის 30%-ით გადააჭარბებს კიდევ ბენზინის ფასს;**
- ნავთობისა და გაზისაგან განსხვავებით, წყალი არ არის მიღვეადი პროდუქტი, ის მუდმივად განახლებადია - რამდენსაც “აიღებ”, იმდენითვე “შეავსებს” მას ბუნება ე.ი. წყალი არასდროს გამოგველევა, თუ შევინარჩუნებთ ჩვენს ტყის მასივებს. დღეს **საქართველოს გააჩნია 27 ათასი მდინარე**, რაც მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჭარბი მარაგების ბუნებრივი განახლების მთავარი ფაქტორია;
- მტკნარი და სუფთა წყალი ბევრ ქვეყანას აქვს, მაგრამ საქართველოს სასმელი წყლების ბუნებრივი მარაგები მათი უნიკალური ხარისხობრივი თვისებებით **აღიარებულია მთელს მსოფლიოში**. ამასთანავე, ჩვენი ქვეყანა

მდებარეობს იმ ქვეყნების გარემოცვაში, რომლებიც სასმელი წყლის მკვეთრ დეფიციტს განიცდიან;

- საქართველოში საქსპლოატაციოდ დასაშვები მტკნარი წყლის რესურსი შეადგენს **26 მილიარდ ლიტრს** დღე-ღამეში;
- ამ რესურსის მხოლოდ **0,75%-ის** ჩამოსხმა-რეალიზაციას შეუძლია **2-ჯერ** გაზარდოს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები **2,5 წლის** განმავლობაში;
- საქართველოს ყოველწლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება **12 მლრდ აშშ დოლარით**;
- დაიწყება ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა-განვითარება, რასაც მოჰყვება სახელმწიფო **ბიუჯეტის დაჩქარებული ზრდა**;
- გაზრდილი ბიუჯეტის **25%** მოხმარდება სახელმწიფოს შიდა ვალის დაფარვას და **1 350 000 მენაბრეს** სრულად დაუბრუნდება 90-იან წლებში სახელმწიფო ბანკებში შეტანილი დანახოვები 2 წლის განმავლობაში, რაც აღადგენს **სოციალურ სამართლიანობას** ჩვენს ქვეყანაში;
- წყლის ჩამომსხმელი ქარხნების, სპეციალური პორტ-ტერმინალების, გზებისა და წყლის ინდუსტრიის მთელი კომპლექსისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მომსახურება საწყის ეტაპზე შექმნის **150 ათასზე მეტ** სამუშაო ადგილს **800 აშშ დოლარის** ოდენობის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურებით;
- საერთო ჯამში, წყლის ინდუსტრიაში შრომისუნარიანი მოსახლეობის **7%-ი** იქნება დასაქმებული;
- რეალურად მოიხსნება **სიღარიბის** არსებული მწვავე პრობლემა
- შეჩერდება **მიგრაციული** პროცესები და გაუმჯობესდება **დემოგრაფიული** მდგომარეობა;
- მოხდება მტკნარი წყლის რესურსის შეფასება და მისი ფასიანი ქაღალდების სახით მატერიალიზების განხორციელება. **ფასიანი ქაღალდები** დაურიგდებათ საქართველოს მოქალაქეებს.

ჩვენი მიზანია, დაკარგული კაპიტალი დაუბრუნოთ ხალხს. ამისათვის: უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციით წყლის დაკანონება სტრატეგიულ რესურსად და ამ რესურსის გადაცემა ქართველი ხალხისთვის, რაც ყოველ ჩვენგანს დაგვიბრუნებს ჩვენს წილ საქართველოს – დაგვიბრუნებს ჩვენს წილს საქართველოში!

ცვლილების დროა სოციალურ პოლიტიკაში

ჩვენი მიზანია სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოს შექმნა, რათა ყველა მოქალაქეს, განურჩევლად საზოგადოებრივი სტატუსისა, ჰქონდეს მყარი სოციალური გარანტია ქართულ სახელმწიფოში!

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა არის სოციალურად ორიენტირებული მოძრაობა. სოციალური სფერო უნდა გამოცხადდეს პრიორიტეტულად. უნდა შეიცვალოს არსებული სოციალური პოლიტიკა და შემუშავდეს საზოგადოების სოციალური დაცვის რეალური სტრატეგია. ამის მისაღწევად სოციალური დაცვის

სისტემა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ევროპის სოციალური დაცვის კოდექსთან და უმოკლეს ვადაში უნდა მოახდეს მისი ხელმოწერა, ხოლო შემდგომში რატიფიცირების პროცესის დაწყება.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური სურათის სწრაფი და ეფექტიანი შეცვლის მიზნით, ჩვენ ვგეგმავთ შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:

- ჯანმრთელობის დაცვის საბაზისო პაკეტით საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა;
- პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა;
- სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალისთვის მინიმალური ხელფასის **300 ლარამდე** დადგენა;
- მედიკამენტების ანაზღაურების სისტემის დანერგვა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთათვის;
- **15 წლამდე** ბავშვების უფასო სტაციონარული მკურნალობის პროგრამის განხორციელება;
- საქართველოს ყველა რეგიონში თითო მუნიციპალური საავადმყოფოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ინვალიდთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და მათი მაქსიმალური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- ინვალიდთათვის ყოველთვიური დახმარების გაცემა **200 – 300 ლარის** ოდენობით, კატეგორიების მიხედვით;
- ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების სრულად ანაზღაურება ორსულობამდე არსებული ხელფასის ოდენობით;
- მეორე და ყოველი მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში **500 ლარის** ოდენობით ერთჯერადი დახმარების და ყოველ ბავშვზე **50 ლარის** ოდენობით ყოველთვიური დახმარების გაცემა სასკოლო ასაკამდე, **6 წლამდე**;
- მარტოხელა დედებისთვის დახმარების სახით ყოველ ბავშვზე ყოველთვიურად **100 ლარის** გაცემა;
- მინიმალური სახელმწიფო პენსიის განსაზღვრა **200 ლარით**;
- უმუშევართა დასაქმებისა და შემწეობების გაცემის ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისტემის შექმნა;
- ყოველთვიური დახმარების სახით დაუსაქმებელ მოქალაქეებზე **100 ლარის** გაცემა;
- მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრა **200 ლარით**.

**განათლების სისტემაში უნდა განახორციელოს სათანადო ცოდნით
აღჭურვილი, ზნეობრივი და მოაზროვნე ადამიანების აღზრდის
ფუნქცია!**

ბოლო წლების განმავლობაში განათლების სისტემაში განხორციელებული “რეფორმის” შედეგად ქვეყანამ მიიღო ათიათასობით უმუშევარი, ფუნქციონირებად პროფესიონალი მკვლევარი და პედაგოგი. ფუნდამენტური მეცნიერებების იგნორირებამ, პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა გამოდევნამ აკადემიური სივრციდან დააზარალა როგორც ცალკეულ პროფესიონალთა სოციალური მდგომარეობა, ისე - მთლიანად სამეცნიერო დარგები. ახალგაზრდებს შორის პრაქტიკულად გამქრალია სამეცნიერო მიმართულებით სწავლის გაგრძელებისა და კარიერის შექმნის მოტივაცია. შედეგად, პარალიზებულია რიგი მნიშვნელოვანი დარგებისა, რომელთა ქმედუნარიანობა უშუალოდ განაპირობებს მიღწევებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.

სასკოლო სისტემაში გატარებული არაგეგმაზომიერი ოპტიმიზაციის პროცესის შედეგად საქართველოს რაიონებსა და სოფლებში უამრავი მოსწავლისათვის სწავლა-განათლების ხელმისაწვდომობა უკიდურესად შეიზღუდა. ამით ირღვევა კონსტიტუციით დაცული მათი ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, მიიღონ ხარისხიანი განათლება. საჯარო სკოლების არასწორმა გამსხვილებამ ხელი შეუწყო რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის ისედაც საგანგაშო მანევრების ზრდას.

განათლების სისტემის ქრისტიანული ღირებულებებისაგან მოწყვეტამ ახალგაზრდა თაობა ერთი მხრივ გამოიწვია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისაგან, მეორე მხრივ კი, სასწავლო გეგმების მიზანდასახულმა სექულარიზაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა ადამიანებს შორის არაჰუმანური, ძალადობრივი, ნიჰილისტური დამოკიდებულებები.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გატარებული ე. წ. დეცენტრალიზაციის დანაშაულებრივი რეფორმით უნივერსიტეტებმა დაკარგეს რეალური ავტონომია. აკრედიტაციის სისტემაში დაშვებულმა შეცდომებმა საგრძნობლად შეაფერხა არაერთი პერსპექტიული უმაღლესი სასწავლებლის განვითარება.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ განათლების სისტემა გადაუდებელ და სისტემურ ცვლილებას საჭიროებს. კერძოდ, აუცილებელია:

- ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების პირობების აღდგენა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა. პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტირება;
- მკვლევართა და პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური პოტენციალის სრულად აღდგენა და გამოყენება, რაც, პირველ რიგში მათთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნას გულისხმობს;

- სკოლების ოპტიმიზაციის პროცესის შეჩერება, სიდრმისეული რევიზია და ხელახალი დაგეგმვა;
- საჯარო სკოლებში ქრისტიანულ ღირებულებებზე დამყარებული სასწავლო საადმინისტრაციული პროგრამების დანერგვა, რაც საპატრიარქოსთან ინტენსიური თანამშრომლობით და კოორდინაციით მიიღწევა;
- უმაღლესი სასწავლებლებისათვის რეალური ავტონომიის დაბრუნება; აკრედიტაციის პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ცვლილების დროა უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკაში

ძალოვანი სტრუქტურები, რომლებზეც დგას არსებული რეჟიმი, დღეს გადაქცეულია ერთ დიდ საიდუმლო-პოლიტიკურ განყოფილებად, რომელმაც ამ ფორმით არსებობა უნდა შეწყვიტოს!

უნდა მოხდეს ამ სისტემის სრული დეპოლიტიზირება. პარტიული ნიშნებით დაკომპლექტებული კადრები უნდა იქნან დათხოვნილი და მთელ რიგ შემთხვევებში მათი საქმეები უნდა იქნას გამოძიებული. მათი ადგილი კი უნდა დაიკავონ პროფესიონალმა კადრის ოფიცრებმა.

უნდა შემუშავდეს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გამორიცხავს პოლიტიკურ დევნას; ამისათვის, ჩვენ განვახორციელებთ ცვლილებებს კანონმდებლობაში. გარკვეულ ნაწილებში ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ კანონს სახელმწიფო უშიშროების შესახებ, უნდა დაწესდეს მძლავრი საპარლამენტო კონტროლი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე, როგორცაა მოსმენები, თვალთვალი და ცალკეულ შემთხვევებში აგენტურული საქმიანობაც კი.

უნდა დაიწყოს სისტემური ცვლილებები ხელოვნურად შექმნილი მონსტრის - შსს სტრუქტურაში, რისთვისაც მას ერთი მხრივ, უნდა გამოეყოს უშიშროების სამსახური, რომელსაც ძირითადად ანალიტიკური ფუნქცია დაეკისრება. მისი მოქმედების ძირითადი მიმართულებები უნდა გახდეს კონტრდაზვერვა, კონსტიტუციური უსაფრთხოება და ტერორიზმი. ხოლო მეორე მხრივ შსს-ს უნდა გამოეყოს პატრული, რომელსაც ექნება დამატებული საპოლიციო ფუნქციები და რომელსაც ჩვენ მოვიაზრებთ მუნიციპალური დაქვემდებარების ქვეშ.

ძირეული ცვლილებები უნდა შეეხოს თავდაცვის სფეროს. უნდა დაიწყოს საფუძვლიანი და არა ზედაპირული მუშაობა ქართული სამხედრო ელიტის – ოფიცერთა ღირსეული და კომპეტენტური კორპუსის ჩამოსაყალიბებლად. რისთვისაც უნდა გაკეთდეს აქცენტები ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი სამხედრო განათლების სისტემის განვითარებასა და ოფიცრების სულიერ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე; უნდა შეიქმნას კაპელანის (მოძღვრის) ინსტიტუტი შეიარაღებულ ძალებში.

უნდა განხორციელდეს ქმედითი საპარლამენტო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. თავდაცვის სისტემის როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ხელმძღვანელობა მუდმივად უნდა გრძნობდეს ანგარიშვალდებულებას საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს ადმინისტრაციული კუთხით - პარლამენტი უნდა იღებდეს მონაწილეობას თავდაცვის სისტემაში მაღალი რანგის თანამდებობის (როგორც სამხედრო ასევე სამოქალაქო კომპონენტი) პირების დანიშვნაშიც. სწორედ ამგვარი მექანიზმების არსებობა გამორიცხავს მომავალში ისეთ სამარცხვინო ფაქტებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს უახლოეს წარსულში, როდესაც საპროტესტო აქციების დაშლაში უშუალო მონაწილეობას იღებდა თავდაცვის სისტემის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რამაც საზოგადოდ ამ ინსტიტუტისა და ოფიცრის მუნდირის მიმართ პატივისცემისა და ნდობის საკითხი ეროვნულ დონეზე დააყენა დარტყმის ქვეშ.

ცვლილების დროა საგარეო პოლიტიკაში

საქართველოს მიზანი არ უნდა იყოს ნატოში, ევროკავშირში ან რომელიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. ეს უნდა იყოს მხოლოდ საშუალება, რომელიც დაგვეხმარება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, კონფლიქტების მოგვარებაში, დემოკრატიის გაძლიერებასა და ეკონომიკურ აღმავლობაში!

ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს მისი ეროვნული მიზნების მიღწევის საშუალება და ჩადგეს თითოეული ქართველის კეთილდღეობის სამსახურში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა დაეფუძნება სამ ძირითად პრინციპს:

- მშვიდობა
- კეთილმეზობლობა
- უერთიერთპატივისცემა

მთავარი პრიორიტეტებია:

- მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა;
- ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვა;
- რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება და კეთილმეზობლური გარემოს შექმნა;
- აშშ-სთან, როგორც სტრატეგიულ პარტიონრთან ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება.

მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი საწინდარია. უნდა

გაძლიერდეს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები შავი ზღვისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ასევე ისრაელთან. დღესდღეობით უფუნქციო სუამი უნდა გარდაიქმას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო რეგიონალურ ორგანიზაციად. სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყნას შორის უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვა საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებას და ეკონომიკურ აღმავლობას შეწყობს ხელს. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოსა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას, რომელსაც დღეს ნაკლები ყურადღება ექცევა. აღსანიშნავია, რომ ქართველ და ევროპელ ხახლებს აქვთ საერთო ღირებულებები და თვალთახედვა. შესაბამისად საქართველო უნდა იყოს ევროკავშირის ბუნებრივი მოკავშირე, როგორც თავისუფალი, ქრისტიანული სარწმუნოების საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანა. უშიშროების უზრუნველყოფისა და ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი საკითხია საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება.

რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება და კეთილმეზობლური გარემოს შექმნა ქვეყნის უსაფრთხოებას, კონფლიქტების მოგვარებასა და საქართველოს ეკონომიკურ კეთილდღეობას შეუწყობს ხელს. რუსული ბაზრის მნიშვნელობა ქართული ბიზნესისთვის და თითოეული ქართველის კეთილდღეობისთვის დღესავით ნათელია. სწორი პოლიტიკის შემთხვევაში რუსეთთან კეთილმეზობლური და კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია. თუ თბილისი და მოსკოვი ერთმანეთის ძირითად მიზნებს პატივისცემით მოეკიდებიან და მოლაპარაკებებისას მათ გათვალისწინებას შეეცდებიან, ორ ქვეყნას შორის ურთიერთობა დადებითად შეიცვლება.

აშშ-სთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება უმნიშვნელოვანესია როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის. საქართველომ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ვაშინგტონთან ურთიერთობა, თუმცა ურთიერთობის ფორმა და შინაარსი უნდა შეიცვალოს. აშშ-მ მეტი დრო და სახსრები უნდა დაუთმოს საქართველოში არასამთავრობო სექტორის, ადამინის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებას და, შესაბამისად ნაკლები რესურსი უნდა მოხმარდეს ქვეყნის მთავრობის პირდაპირი გზით მხარდაჭერას. “უფროსი ძმის” როლი, რაც დღეს ოფიციალურ ვაშინგტონს აკისრია, ეტაპობრივად “მრჩეველის” როლით უნდა შეიცვალოს.

ცვლილების დროა დევნილთა და განსახლების პოლიტიკაში

დევნილთა უფლებების დაცვა უნდა გახდეს სახელმწიფოს პრიორიტეტი, რამაც უნდა უზრუნველყოს სოციალურად აქტიური, ვიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი ადამიანების რეინტეგრაცია საზოგადოებაში!

თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში დევნილებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. დევნილები ხელისუფლებას

ახსენდება მხოლოდ საარჩევნო კამპანიების დროს. დევნილთა სრულფასოვანი განვითარების პერსპექტივა კვლავ ძალიან ბუნდოვანია. ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილის ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში აამაღლებს სახელმწიფოს პოტენციალს და გაამარტივებს კონფლიქტის მოგვარებას. ამისათვის:

- უნდა შეწყდეს დევნილების დაყოფა კატეგორიებად და დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება ცალკეული კატეგორიების მიმართ;
- უნდა მოხდეს დევნილთა შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის სრულყოფა. არ უნდა არსებობდეს განსხვავება ოფიციალურ ბაზასა და საერთაშორისო ორგანიზაციების ბაზებს შორის;
- დევნილის შემწეობის ოდენობა სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სხვა სოციალურ დახმარებებთან, რისთვისაც უნდა განხორციელდეს ადეკვატური საბიუჯეტო დაფინანსება;
- უნდა განხორციელდეს დევნილთა უმძიმესი საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუმჯობესება;
- შემუშავებული უნდა იქნას საგანგებო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას.

ცვლილების დროა აგრარულ პოლიტიკაში

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული სოფლის, როგორც ქართული სულიერებისა და მატერიალური ტრადიციის შემნახველი ისტორიულ-სოციალური ერთეულის აღორძინებას!

სოფლის მიმართ არათანმიმდევრული და ფარისევლური დამოკიდებულება მაღე ეროვნულ უბედურებად შეიძლება დაატყდეს საქართველოს. ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ გაქრობის პირას მიიყვანა ქართველი გლეხობა, როგორც ტრადიციულად ჩამოყალიბებული სოციალური ფენა და უზარმაზარი დარტყმა მიაყენა ჩვენი ქვეყნის აგრარულ სფეროს.

ხელისუფლების შიშველი დაპირებები სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს კონკრეტული აგრარული სტრატეგიით, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკურად ჩარმორჩენილი ქვეყნიდან, განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად უნდა აქციოს.

- უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სუბსიდირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- უნდა ჩამოყალიბდეს ე.წ. ბარტერული ურთიერთობები შხამქიმიკატებისა და სასუქების შემომტან ორგანიზაციებსა და უშუალოდ გლეხს შორის ნებისმიერი შუამავლისა და დილერის გარეშე;
- უნდა მოხდეს სახელმწიფო პოლიტიკის ლიბერალიზაცია შხამქიმიკატებისა და სასუქის საბაჟო გადასახადის შემცირების თვალსაზრისით, რაც გააიფებს საქართველოში წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას იმპორტირებულთან შედარებით და გახდის მას კონკურენტუნარიანს;

- მეღვინეობა-მევენახეობის განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა იქცეს და დაიწყოს ამ დარგის მომზადება ჯერ რუსეთის ბაზარზე ღირსეული დაბრუნებისათვის, ხოლო უახლოეს მომავალში მსოფლიო ბაზრების ასათვისებლად;
- ადგილწარმოშობის ღვინოების ხარისხზე უნდა დაწესდეს მკაცრი სახელმწიფო კონტროლი, რათა რეალურად დაიწყოს საქართველოში ნამდვილი “აპელასიონური” ღვინოების წარმოების ტრადიციის აღდგენა;
- გლეხებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ყურძნის მოსავლის ჩაბარებას, უნდა შეეწყოს ხელი კოოპერატივების შექმნასა და გამოცდილი და ბაზრის მოთხოვნების მცოდნე ენოლოგების დაქირავებაში, რის შედეგად ისინი შექმნიან არა კონკურენტუნარო “ოჯახურ” ან “ქარხნულ” ღვინოს, არამედ ე.წ. მიკრო ღვინოებს, რომელშიც იდეალურად იქნება გამოხატული კონკრეტული ტერუარის თავისებურებები. ამით, საქართველოში დაიწყება კონკურენტუნარიანი “სუფრისა” და “მხარის” ევროპული დონის ღვინოების წარმოების აღორძინება.

ცვლილების დროა საქართველოში

ცვლილების დროა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში. თუ არ მოვახდინებთ ცვლილება დღეს, ხვალ შესაცვლელი აღარაფერი დარჩება!

როდესაც ერს ღვთივკურთხეული მეფე ჰყავდა, ერისკაცისათვის საკმარისი იყო მეფის ერთგულება, რაც თავისთავად ნიშნავდა ქვეყნისა და ერის ერთგულებასაც; ახლა კი, როდესაც, უფლის განგებით, ერისკაცი თავადაც მონაწილეობს ქვეყნის მართვაში, არჩევნების გზით, როგორც ამ ქვეყნის შვილი, ამ ქვეყნის მოქალაქე, მისი პასუხისმგებლობა განუზომლად იზრდება.

დღეს ჩვენ უნდა მოუწოდოთ ყველას, მათაც, ვისაც ჯერ კიდევ გააჩნია რაიმე ილუზია არსებულ ხელისუფლებასთან დაკავშირებით და მათაც, ვისაც უკვე არანაირი მსგავსი ილუზია აღარ აქვს, რომ ღიად და გულწრფელად განაცხადონ ჩვენი ქვეყნისათვის ამ რეჟიმის დამღუპველი ხასიათისა და მისი ცვლილების აუცილებლობის შესახებ. ჩვენ უკვე აღარ გვაქვს უფლება გავიბითუროთ თავი და ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია ამ ხელისუფლების გამოსწორება პატარ-პატარა “კეთილი საქმეებით”.

თუ არ შევცვლით ხელისუფლებას დღეს და არ შევანერებთ ამ საშიში ორგანიზმის ზრდას - მაშინ ხვალ ეს ორგანიზმი საბოლოოდ და შეუქცევადად შეცვლის საქართველოს!

*დადგა დრო, როდესაც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს ყველაზე
მნიშვნელოვანი ცვლილება.*

ეს არის დრო ქრისტიანული არჩევანისა,

ეს არის დრო დემოკრატიული არჩევანისა!

დიდი ცვლილების დროა!